- I. **ალკვეთის ღონისძიების, გირაოს შეფარდებისას ე.წ. „საგირავნო პატიმრობის“ გამოყენების სამართლებრივი მონესრიგება.** სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით პრიორიტეტი ენიჭება ალკვეთის ღონისძიებად გირაოს გამოყენებას. გირაოს შეფარდებისას, მისი აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლო უფლებამოსილია, პროკურორის შუამდგომლობით ბრალდებულს შეუფარდოს წინასწარი პატიმრობა გირაოს სახით დაკისრებული თანხის არანაკლებ 50%-ის პროცესის მწარმოებელი ორგანოს ანგარიშზე შეტანამდე. კანონის აღნიშნულმა დანაწესმა წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა, კერძოდ: მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ალკვეთის ღონისძიებად გირაოს შეფარდების შემდეგ პირის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენება გულისხმობს ერთი და იმავე პირის მიმართ, დანაშაულის ერთი შემთხვევისათვის ორი სხვადასხვა ალკვეთის ღონისძიების შეფარდებას. აღნიშნული მსჯელობა არასწორია და არ გამომდინარეობს კანონის დისპოზიციიდან, რაზეც შედგა პოზიციათა თანხვედრა უზენაეს სასამართლოში გამართულ შეხვედრაზე.

აზრი შეეჯერდა იმ მიმართებით, რომ **გირაო, როგორც ალკვეთის ღონისძიება, მოქმედებას იწყებს ბრალდებულის ან სხვა პირის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოს ან-გარიშზე თანხის, ან მისი ეკვალენტი მოძრავი ან უძრავი ქონების შეტანის შემდეგ, ანუ რეალურად პირი პატიმრობაში იმყოფება მანამ, სანამ მის მიმართ მოქმედებას არ დაიწყებს ალკვეთის სხვა ღონისძიება.**

ასევე გამოითქვა გარკვეული მოსაზრება ე.წ. „საგირავნო პატიმრობის“ ვადის ათვლისა და მისი ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. კანონის ნორმის ანალიზით, განიმარტა, რომ ე.წ. „საგირავნო პატიმრობა“ პირს უნდა დაუნესდეს იმ ვარაუდით, რომ საპატიმრო ვადის გაგრძელებისას შესაძლებელი იყოს სსსკ-ის 163-ე მუხლით დადგენილი ვადის დაცვა. რაც შეეხება ე.წ. „საგირავნო პატიმრობის“ ვადის ათვლას, მისი დინება იწყება პირის დაკავებიდან.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არაერთგვაროვანი მიდგომა საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით გირაოს სახით შეტანილი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში, გირაოს სახით შეტანილი ქონება პირდაპირ ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც ამ ალკვეთის ღონისძიების სამართლებრივ ბუნებას ეწინააღმდეგება.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გირაოს სახით მოძრავი ან უძრავი ქონების გამოყენების შემთხვევაში ქონების დაყადაღებაზე შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ პროკურორს.

შეხვედრაზე მიღწეულ იქნა **შეთანხმება** აღკვეთის ღონისძიების გირაოს შეფარდებისას, ზოგიერთ სამართლებრივ საკითხთა გადაწყვეტის თაობაზე. ამავდროულად, აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას გადასაწყვეტი დარჩა ერთი პრაქტიკული საკითხი, რაც შეეხება – გირაოს პროცესის მწარმოებელი ორგანოს დეპოზიტზე შეტანა.

სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს, რომ ბრალდებულს (განსასჯელს) ეკისრება ვალდებულება, დადგინდეს ვადაში უზრუნველყოს გირაოს სახით შეფარდებული თანხის ეკვივალენტური ქონების პროცესის მწარმოებელი ორგანოს დეპოზიტზე შეტანა. ერთმნიშვნელოვნად, წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას პროცესის მწარმოებელი ორგანოა პროკურატურა, რომლის ანგარიშზეც მიიმართება გირაოს სახით შეტანილი თანხა.

შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ბანკში საქართველოს გენერალურ პროკურატურას გააჩნია ანგარიში ამ მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად. **ეროვნული ბანკის კოდი 220101107, ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო №200122900, (მიმღები: საქართველოს გენერალური პროკურატურა) სახაზინო კოდი 302003000.**

საქმის სასამართლო განხილვისას, აღკვეთის ღონისძიების გირაოს გამოყენების შემთხვევაში, გირაოს თანხა მიიმართება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშზე, სს ბანკი „რესპუბლიკა“ კოდი 220101757 ანგარიშის ნომერი 33050001.

II. აღკვეთის ღონისძიებების: შინაპატიმრობის, პოლიციის ზედამხედველობისა და გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილის მოქმედების ვადები. 2005 წლის 16 დეკემბრის კანონით (რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 11 იანვარს) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები. გაუქმდა ისეთი აღკვეთის ღონისძიებები როგორც იყო შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობა და ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. კანონმდებელმა გარდამავალ დებულებებში მიუთითა, რომ კანონის ამოქმედებამდე შეფარდებული ეს აღკვეთის ღონისძიებები მოქმედებას განაგრძობს მათი გამოყენების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება. მოსამართლეთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გაუქმებული აღკვეთის ღონისძიებები მოქმედებას წყვეტს საქმის სასამართლოსათვის გადაცემის მომენტში, ანუ რეალურად საქმის სასამართლოსათვის გადაცემისთანავე. საპირისპირო მოსაზრებით, აღკვეთის ეს ღონისძიებანი განაგრძობენ მოქმედებას საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ და მათი მოქმედება უნდა შეწყდეს გამწესრიგებულ სხდომაზე. აღნიშნულ მოსაზრებას ავტორები ასაბუთებენ შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების გაუქმების საფუძვლად არ ადგენს საქმის სასამართლოსათვის გადაცემას. სასამართლო მხოლოდ გამწესრიგებულ სხდომაზე, ან მხარის შუამდგომლობით, საქმის სასამართლოსათვის გადაცემიდან 48 საათში, იხილავს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან დადასტურების საკითხს. შესაბამისად, გამწესრიგებულ სხდომაზე, პირის სამართალში მიცემის სტადიაზე, სასამართლომ უნდა შეუფარდოს პირს აღკვეთის ღონისძიება, ნაცვლად ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებისა, რომლის მოქმედების ვადა ამ დროისათვის ამოწურულია.

რაც შეეხება გაუქმებული აღკვეთის ღონისძიებების მოქმედებასა და მათი შეცვლის საკითხს საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე, სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნულ აღკვეთის ღონისძიებათა შეფარდების საკითხი საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის – საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

III. პირობითი მსჯავრი. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრის ვადის ათვლის საკითხთან დაკავშირებით. მოსამართლეთა ნაწილის აზრით, პირობითი მსჯავრის ვადის ათვლა დაკავშირებულია პრობაციის ბიუროს მიერ პრობაციონერისადმი რეალური კონტროლის განხორციელებასთან. მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება განაჩენის გამოტანიდან, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ პირობითი მსჯავრის ვადის დინება იწყება პირის მიმართ გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც მდგომარეობს შემდეგში: კანონმდებლობა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის დინებას არ უკავშირებს რაიმე დამატებითი მოქმედების შესრულებას და, შესაბამისად, დანიშ-

ნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა იწყება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. პირობითი მსჯავრი ინიშნება განაჩენით დანიშნული სასჯელის ალტერნატივად, ანუ ცალკე აღებული სასჯელი პირობითი მსჯავრის სახით არ შეიძლება არსებობდეს. სასჯელის მოხდის ვადის ათვლას კი კანონმდებელი უკავშირებს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას და არა რაიმე დამატებითი მოქმედების შესრულებას, თუნდაც პრობაციის ბიუროში პირის მიმართ რეალური ზედამხედველობის დაწყებას.

IV. ბრალდებულისა და განსასჯელის სტატუსი, პატიმრობის ვადა. 2006 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა პატიმრობაში პირის ყოფნის ახალი ვადები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილია გამონაკლისი ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადებთან დაკავშირებით, რომელიც ადგენს, რომ საქართველოში ექსტრადიციის მიზნით პირის უცხო სახელმწიფოში დაპატიმრებისა და სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო არ ჩაითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში. კანონმდებელმა ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ აღნიშნული ეხება ბრალდებულის პატიმრობის ვადას და იგი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადა აჩერებს განსასჯელის სასამართლოში პატიმრობის ვადის დინებას.

V. აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის რამდენჯერმე გამოყენების დაუშვებლობა. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის დაპატიმრებულ პირს, ახალი შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო კვლავ უფარდებს დაპატიმრებას. დაპატიმრება, გამოიყენება იმ მიზნით, რომ აღკვეთილ იქნეს პირის მიმალვისა და შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა. უდავოა, რომ ერთხელ უკვე დაპატიმრებული პირი ვერ განახორციელებს იმ მოქმედებებს, რომელთა აღსაკვეთადაც გამოიყენება ზემოაღნიშნული აღკვეთის ღონისძიება. ამდენად, მისი ხელახლა დაპატიმრება შესაბამის საფუძველს მოკლებული და ალოგიკურია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა დაადგინა შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი მსჯავრდებული პირის მიმართ. აღნიშნული სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, იგი, როგორც ბრალდებული, შესაძლებელ უნდა იქნეს საგამოძიებო იზოლაციაში. აღნიშნული არ გამორიცხავს შესაბამისი საფუძვლების არსებობისას (წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადის ამოწურვა) პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობას.

**2006 წლის 17 აპრილის შეხვედრაზე შეიშუშავებული
რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის
პრობლემატურ საკითხებზე:**

- I. ალკვეთის ღონისძიება – გირაო, მისი სამართლებრივი ბუნება. ქონების გირაოდ გამოყენება და მისი უზრუნველყოფის ღონისძიება, ქონების დაყადაღება, ე.წ. „საგირავნო პატიმრობის“ გამოყენების სამართლებრივი რეგულირება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლევებით პრიორიტეტი ენიჭება ალკვეთის ღონისძიებად გირაოს გამოყენებას. გირაოდ განიხილება ფულადი თანხა, მოძრავი ან უძრავი ქონება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, უძრავი ქონების გირაოდ გამოყენების შემთხვევაში, ამ ქონებას ედება ყადაღა. თუმცა სსსკ-ის 168-ე მუხლი არ ადგენს გირაოს სახით გამოყენებულ ქონებაზე ყადაღის დადების სამართლებრივ პროცედურას, რამაც პრაქტიკაში, სამწუხაროდ გამოიწვია ნორმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია და შესაბამისად არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გირაოს შეტანის ფორმის არჩევის უფლებას ანიჭებს ბრალდებულს, (განსასჯელს) ანუ მას აქვს უფლება შეარჩიოს გირაოს შეტანის მისთვის მისაღები ფორმა, მაგრამ კანონი არ ალჭურვავს მას ან მისი სახელით გირაოს შემტან პირს, გირაოს სახით უძრავი ქონების შეტანის შემთხვევაში, მოითხოვის ამ ქონების დაყადაღება.

სსსკ-ის 190-ე მუხლით დადგენილია ქონებაზე ყადაღის დადების საპროცესო საფუძველი და პროცედურა. კანონი ადგენს, რომ ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნით, სასამართლოში შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით ან პროკურორს. აღნიშნული ნორმის სსსკ-ის 168-ე მუხლთან მიმართებით ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გირაოს სახით ქონების გამოყენების შემთხვევაში ქონების დაყადაღებაზე შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ პროკურორს ან მისი თანხმობით – გამომძიებელს.

სემინარზე დაისვა საკითხი იმის თაობაზე, თუ ვისი ქონება შეიძლება იქნას გამოყენებული გირაოდ. სსსკ-ის 190-ე მუხლის თანახმად, ქონებაზე ყადაღა ედება ბრალდებულის, განსასჯელის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი, ანდა დაკავშირებული პირის ქონებას, თუმცა სსსკ-ის 168-ე მუხლი, რომელიც აღნიშნული სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმაა, უშვებს შესაძლებლობას, რომ ბრალდებულის (განსასჯელის) სახელით გირაო შეიტანოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც იმავდროულად იღებს პასუხისმგებლობას ბრალდებულის (განსასჯელის) ქცევაზე. აქედან გამომდინარე, გირაოდ უძრავი ქონების შეტანის უფლებაც ენიჭება ნებისმიერ პირს, რაც გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ გირაოს უზრუნველსაყოფად შესაძლებელია ყადაღა დაედოს ნებისმიერი პირის ქონებას.

აქვე დაკონკრეტდა იმ დოკუმენტაციის ნუსხა, რაც პირმა უნდა წარადგინოს გირაოდ უძრავი ქონების გამოყენებისას. პირველ რიგში, პროკურორს უნდა წარედგინოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ქონების საკუთრების თაობაზე და რომ ქონება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა. აუდიტის დასკვნა, რომელიც აფასებს გირაოს სახით შესატან ქონებას. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის (განსასჯელის) სახელით გირაო შეაქვს სხვა პირს, ამ პირის თანხმობა ქონების გირაოდ გამოყენების შესახებ.

პროკურორს აქვს დისკრეტია შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ან მიიღოს იგი შემომწმების გარეშე და შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ქონების დაყადაღების შესახებ.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ასევე საკითხი გირაოდ უძრავი ქონების შეტანის ვადისა და ამ ვადის ამონურვის შესახებ. სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს, რომ ბრალდებულს (განსასჯელს) ეკისრება ვალდებულება დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გირაოს სახით შეფარდებული თანხის ეკვივალენტური ქონების პროცესის მწარმოებელი ორგანოს დეპოზიტზე შეტანა.

ნორმის განმარტების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ კანონის აღნიშნული ნორმა განმარტებულ უნდა იქნას ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ, იმდენად, რამდენადაც წარდგენილი დოკუმენტაციის შემომწმება პროკურორის დისკრეტიაა და იგი არ არის დამოკიდებული ბრალდებულის (განსასჯელის) ნებაზე, პროკურორისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა დადგენილ ვადაში მიჩნეულ უნდა იქნას ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ მოვალეობის შესრულებად.

ალკვეთის ღონისძიების – გირაოს შეფარდებისას, მისი აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლო უფლებამოსილია, პროკურორის შუამდგომლობით ბრალდებულს შეუფარდოს წინასწარი პატიმრობა გირაოს სახით დაკისრებული თანხის არანაკლებ 50%-ის პროცესის მწარმოებელი ორგანოს ანგარიშზე შეტანამდე. კანონის აღნიშნულმა დანაწესმა წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა. კერძოდ: ნაწილი მიიჩნევს, რომ ალკვეთის ღონისძიებად გირაოს შეფარდების შემდეგ პირის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენება გულისხმობს ერთი და იგივე პირის მიმართ, დანაშაულის ერთი შემთხვევისათვის ორი სხვადასხვა ალკვეთის ღონისძიების შეფარდებას. აღნიშნული მსჯელობა არასწორია და არ გამომდინარეობს კანონის დისპოზიციიდან, რაზეც შედგა პოზიციათა თანხვედრა უზენაეს სასამართლოში გამართულ შეხვედრაზე.

აზრი შეჯერდა იმ მიმართებით, რომ **გირაო, როგორც ალკვეთის ღონისძიება, მოქმედებას იწყებს ბრალდებულის ან სხვა პირის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოს ანგარიშზე თანხის, ან მისი ეკვივალენტი მოძრავი ან უძრავი ქონების შეტანის შემდეგ**, ანუ რეალურად პირი პატიმრობაში იმყოფება მანამ, სანამ მის მიმართ მოქმედებას არ დაიწყებს ალკვეთის სხვა ღონისძიება.

ასევე გამოითქვა გარკვეული მოსაზრება ე. წ. „საგირავნო პატიმრობის“ ვადის ათვლისა და მისი ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. კანონის ნორმის ანალიზით, განმარტებულ იქნა, რომ გირაოს გადახდის ვადა უნდა დაწესდეს არაუმეტეს იმ ვადით, რომ საპატიმრო ვადის გაგრძელებისას შესაძლებელი იყოს სსსკ-ის 163-ე მუხლით დადგენილი ვადის დაცვა. რაც შეეხება ე. წ. „საგირავნო პატიმრობის“ ვადის ათვლას, ამ ვადის დინება იწყება პირის დაკავებიდან.

ე. წ. „საგირავნო პატიმრობიდან“ განთავისუფლების სამართლებრივი პროცედურა. საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: გირაოს თანხის გადახდის ან მის უზრუნველსაყოფად ქონების დაყადაღების შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაცია წარედგინება პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია, გონივრულ ვადაში გადაამოწმოს დოკუმენტის ნამდვილობა და მიიღოს ზომები პატიმრობაში მყოფი პირის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არაერთგვაროვანი მიდგომაა საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით გირაოს სახით შეტანილი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში, გირაოს სახით შეტანილი ქონება პირდაპირ ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც ამ ალკვეთის ღონისძიების სამართლებრივ ბუნებას ეწინააღმდეგება.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წარედგინა შუამდგომლობა პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების თაობაზე და იგი არ იქნა დაკმაყოფილებული იმ მოტივით, რომ სასამართლომ მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნის მიღწევა შესაძლებელია ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს გამოყენებით, იგი არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით ყადაღა დაადოს ქონებას, რომელსაც ბრალდებული ან მისი სახელით სხვა პირი სთავაზობს სასამართლოს. სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება, წარმოშობს პროკურორის ვალდებულებას, მოითხოვოს ქონების დაყადაღება.

აღნიშნა, რომ პოზიციათა შეჯერების შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, პროკურორი უფლებამოსილია, გირაოს შეფარდების თაობაზე შუამდგომლობის აღძვრასთან ერთად, მოითხოვოს ქონების დაყადაღება, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ სასამართლომ მიიღოს ერთი დოკუმენტი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და ქონების დაყადაღების თაობაზე.

II. აღკვეთის ღონისძიებების: შინაპატიმრობის, პოლიციის ზედამხედველობისა და გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილის მოქმედების ვადები. 2005 წლის 16 დეკემბრის კანონით (რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 11 იანვარს) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები. გაუქმდა ისეთი აღკვეთის ღონისძიებები როგორც იყო შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობა და ხელწერილი გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ. კანონმდებელმა გარდამავალ დებულებებში მიუთითა, რომ კანონის ამოქმედებამდე შეფარდებული ეს აღკვეთის ღონისძიებები მოქმედებას განაგრძობს მათი გამოყენების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებანი. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გაუქმებული აღკვეთის ღონისძიებები მოქმედებას წყვეტს საქმის სასამართლოსათვის გადაცემის მომენტში, ანუ რეალურად საქმის სასამართლოსათვის გადაცემისთანავე. საპირისპირო მოსაზრებით, აღკვეთის ეს ღონისძიებანი განაგრძობენ მოქმედებას საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ და მათი მოქმედება უნდა შეწყდეს გამწესრიგებელ სხდომაზე. აღნიშნულ მოსაზრებას ავტორები ასაბუთებენ შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების გაუქმების საფუძველად არ ადგენს საქმის სასამართლოსათვის გადაცემას. სასამართლო მხოლოდ გამწესრიგებელ სხდომაზე, ან მხარის შუამდგომლობით, საქმის სასამართლოსათვის გადაცემიდან 48 საათში, იხილავს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან დადასტურების საკითხს. შესაბამისად, გამწესრიგებელ სხდომაზე, **პირის სამართალში მიცემის სტადიაზე, სასამართლომ უნდა შეუფარდოს პირს აღკვეთის ღონისძიება, ნაცვლად ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებისა, რომლის მოქმედების ვადა ამ დროისათვის ამონურულია.**

რაც შეეხება გაუქმებული აღკვეთის ღონისძიებების მოქმედებას და მათი შეცვლის საკითხს საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე, სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნულ აღკვეთის ღონისძიებათა შეფარდების საკითხი საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის – საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

მიზანშეწონილია, აღნიშნულის თაობაზე მხარეებს განუმარტოს მოსამართლემ, რათა მათ დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია ამ საკითხზე.

III. აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის რამდენჯერმე გამოყენება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის დაპატიმრებულ პირს, ახალი შუამდგომლობის საფუძველზე კვლავ შეეფარდება დაპატიმრება. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა დაადგინა შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ. აღნიშნული სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, იგი როგორც ბრალდებული შესახლებულ უნდა იქნას საგამოძიებო იზოლატორში. აღნიშნული არ გამორიცხავს შესაბამისი საფუძველების არსებობისას (წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადის ამონურვა) პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობას. რაც შეეხება სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს, მოსაზრებები შეჯერდა შემდეგზე: პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება შესაძლებელია, შეფასდეს ცალ-ცალკე და სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება თითოეული შემთხვევი-

სათვის წარმოებდეს დამოუკიდებლად. ამდენად, აღნიშნული წარმოშობს ერთი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების რამდენჯერმე გამოყენების შესაძლებლობას.

IV. ბრალდებულის დაპატიმრება. ძებნილი ბრალდებულის სასამართლოში წარდენისა და შუამდგომლობის განხილვის ვადა. სსსკ-ის 160-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ პროკურორი უფლებამოსილია დააკავოს ბრალდებული და დაკავებიდან 24 საათში მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პირის დაკავებას წინ უნდა უსწრებდეს მისი საპროცესო მდგომარეობის განსაზღვრა, ანუ პირს წარდგენილ უნდა ჰქონდეს ბრალდება და მას მინიჭებული უნდა ჰქონდეს ბრალდებულის საპროცესო სტატუსი. აღნიშნული მუხლი ადგენს აგრეთვე ძებნილი ბრალდებულის დაპატიმრების და სასამართლოში წარდგენის პროცედურას. ნორმის თანახმად, ძებნილი ბრალდებული სასამართლოს წარედგინება 48 საათში გამოძიების ადგილას მისი მიყვანიდან. გამოძიების ადგილის სამართლებრივი დეფინიცია მოცემულია სსსკ-ის 44-ე მუხლის 45-ე ნაწილში და ნიშნავს საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის წარდგენა და სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღება ხდება 48 საათში, თუმცა ამ ვადის ამონურვა არ ნიშნავს პირის უკანონო პატიმრობას, ვინაიდან მის მიმართ არსებობს მოსამართლის ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე და დაპატიმრებული ბრალდებული სასამართლოს წარედგინება მისი პიროვნების დადასტურებისა და მისთვის საპროცესო უფლება-მოვალეობათა განმარტების მიზნით.

**2006 წლის 1 ივლისის შეხვედრაზე შემუშავებული
რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის
პრობლემატურ საკითხებზე:**

- I. სასამართლო და მედია. საქმის განხილვისას ტელევიზიით ტრანსლაციის ფარგლები.** სასამართლო და მედია საკმაოდ აქტუალური თემაა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე. დიდია საზოგადოების ინტერესი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ე.წ. „გახმაურებულ საქმეებს“, რომელთა ყოველდღიური გაშუქებით მედია ქმნის საზოგადოებრივ აზრს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და იმიჯზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მოქმედი რედაქცია ანიჭებს მოსამართლეს (სასამართლოს) უფლებამოსილებას, განსაზღვროს ე.წ. „უურნალისტების ქცევის წესი“, ანუ შეზღუდოს მათი სასამართლო სხდომის დარბაზში გადაადგილება, საუბარი ან პროცესის მიმდინარეობის სხვაგვარი ხელის შეშლა. ამავდროულად, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია ოპერატორებს, რომლებიც აწარმოებენ პროცესის გადაღებას, განუსაზღვროს კონკრეტული ადგილი სასამართლო სხდომის დარბაზის ბოლო ნაწილში, საიდანაც მათ სრულფასოვნად შეეძლება პროცესის მიმდინარეობის ჩანერა. აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს წესრიგის დამრღვევის პირის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი ზომების გამოყენების შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა მიდგომა, რომ მოსამართლე, პროცესის პირველ ეტაპზევე, განსახილველი საქმის გამოცხადების შემდეგ, განსაზღვრავს ტრანსლაციის წესს და ადგენს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ადგენს შესაძლებლობას დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში აკრძალოს ან შეჩერდეს ტრანსლაცია. ტრანსლაციის შეჩერება პრაქტიკულად არაეფექტური ღონისძიებებია, როგორც წმინდა ტექნიკური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. რაც შეეხება მოსამართლის მიერ დადგენილი ტრანსლაციის წესის დარღვევის სამართლებრივ შედეგს: სსსკ-ის 16-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მოტივირებული დადგენილებით აკრძალოს ტრანსლაცია, ანუ წესის ნებისმიერი დარღვევა, რაც მოსამართლის შეფასებით არღვევს დადგენილ წესს და ხელს უშლის სხდომის ნორმალურ მიმდინარეობას, შესაძლებელია გახდეს ამ ტრანსლაციის აკრძალვის საფუძველი.

აქვე, პროცესის საქვეყნობის პრინციპთან მიმართებით, აღინიშნა, რომ სსსკ-ის 208-ე მუხლით დადგენილია მოსამართლის (სასამართლოს) უფლებამოსილება, სხდომის დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს დამსწრე პირთა რაოდენობა. შესაბამისად, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია არ

დაუშვას სხდომის დარბაზში პირები, თუ არ არსებობს დარბაზში მათი განთავსების შესაძლებლობა, ანუ არ არის საკმარისი რაოდენობის დასაჯდომი ადგილები. სხდომაზე წესრიგის დაცვის თვალსაზრისით, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, არ დაუშვას სასამართლო სხდომის დარბაზში დაგვიანებული პირები.

II. შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, პრიორიტეტი ენიჭება კონკრეტული საკითხებისა და საქმეების განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე. უზენაეს სასამართლოში გამართულ მოსამართლეთა შეხვედრაზე მსჯელობა გაიმართა კანონმდებლობაში ამ თვალსაზრისით განხორციელებულ ერთ-ერთ ცვლილებაზე. საკითხი ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მესამე ნაწილს, რომელიც ადგენს სასამართლოს ვალდებულებას, მისცეს შესაძლებლობა მხარეს, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში, წარადგინოს წერილობითი მოსაზრებები მხარის მიერ განსახილველად შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით. ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით სახეზეა შემდეგი: აღნიშნული ნორმის თანახმად, წერილობითი შუამდგომლობის წარდგენისათვის მხარისათვის ვადის მიცემის ვალდებულება სასამართლოს წარმოეშობა მხოლოდ საქმის განხილვისას. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ არის ვალდებული და არც უფლება-მოსილი, კანონის აღნიშნული ნორმის დანაწესი განაგრძოს და მხარეს ეს უფლებამოსილება მიანიჭოს აღკვეთის ღონისძიების საკითხის ან სხვა საკითხის განხილვისას.

რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას მხარის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების რეალიზაციას, გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლო განიხილავს სააპელაციო, ხოლო საკასაციო სასამართლო კი საკასაციო საჩივრებს. ამდენად, მხარის მიერ ამ უფლების რეალიზაცია ფაქტობრივად შეუძლებელია, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ირღვევა მხარის უფლება სასამართლოში წარადგინოს თავისი მოსაზრებები განსახილველ საქმესა თუ შუამდგომლობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ამ მოქმედებების განხორციელებისათვის დადგენილი წესით.

III. „პატიმრობის შესახებ კანონის“ 48-ე მუხლის ახალი რედაქციით, მსჯავრდებულთან შეხვედრის თაობაზე, დაწესებულების ადმინისტრაციას 5 სამუშაო დღით ადრე უნდა მიმართოს პირმა, რომელსაც ამ უფლებით სარგებლობა სურს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებული არის პირი, რომლის მიმართ გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. ამავე კოდექსის 602-ე მუხლის თანახმად რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი (განჩინება) და საკასაციო სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. ამდენად, პირი მსჯავრდებულის საპროცესო მდგომარეობას იძენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისთანავე და შესაბამისად ამისა, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები, „პატიმრობის შესახებ კანონის“ 48-ე მუხლის თანახმად, არ არიან უფლებამოსილი გასცენ მსჯავრდებულ პირთან პაემანის ნებართვა.

„პატიმრობის შესახებ“ კანონის 89-ე მუხლის თანახმად, პატიმარს უფლება აქვს ისარგებლოს პაემნის უფლებით და ამ უფლებას მას აძლევს გამოძიებელი, პროკურორი და მოსამართლე. კანონის ამ დანაწესმა წარმოშვა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა. ამ საკითხთან დაკავშირებით, შეხვედრაზე ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია და აღინიშნა, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონი განმარტავს პატიმრის სამართლებრივ სტატუსს ამ კანონის მიზნებისათვის და ამ სტატუსით მოიხსენიებს ბრალდებულს, რომელიც დაპატიმრებულია („პატიმრობის შესახებ“ კანონის 85-ე მუხლი). ამდენად, ნორმის პირდაპირი განმარტებით, მოსამართლე უფლებამოსილია ბრალდებულს, რომლის მიმართაც წარმოებს წინასწარი გამოძიება, მისცეს უფლება ისარგებლოს პაემნით, რაც ერთმნიშვნელოვნად არ შედის მოსამართლის კომპეტენციაში.

რაც შეეხება სასამართლო კომპეტენციას აღნიშნულ ურთიერთობასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 516-ე მუხლის თანახმად, განაჩენის გამოცხადებისთანავე, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის თხოვნით, სასამართლო ვალდებულია მისცეს მას ნათესავეებთან და ახლობლებთან შეხვედრის უფლება. დამკვიდრებული პრაქტიკით, სასამართლო სასაჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებულის ნებისმიერი ახლობლისა თუ ნაცნობის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გასცემდა ე.წ. ნახვის ნებართვას. მსჯავრდებულ თუ სხვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით სასაჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებულ პირთან ურთიერთობის

თაობაზე სასამართლო, სსსკ-ის 516-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ერთჯერადად, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისთანავე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 605-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია სასამართლოს უფლებამოსილება, მისცეს პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის ნახვის ნებართვა მის ახლობლებსა და ოჯახის წევრებს. აღნიშნული ნორმის შინაარსი წინააღმდეგობრივია და შეიძლება ითქვას სამართლებრივად არასწორი. „პატიმრობის შესახებ“ კანონი ადგენს ამ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა სტატუსს. ამ კანონის მიზნებისათვის პატიმარი არის პირი, რომელიც მოთავსებულია სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მის მიმართ შერჩეული საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების საფუძველზე, ხოლო მსჯავრდებული არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. ამდენად, სამართლებრივად შეუსაბამოა და შეუძლებელიც, პატიმრობაში მყოფი პირი იმავდროულად იყოს მსჯავრდებული, რაც, თავის მხრივ გამორიცხავს სსსკ-ის 605-ე მუხლით დადგენილი უფლების რეალიზების შესაძლებლობას. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სსსკ-ის 605-ე მუხლი დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის წარმოების კონკრეტულ ეტაპთან და იგი ეხება სასამართლოს კომპეტენციას განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის საკითხის გადაწყვეტისას. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიტყვასიტყვით განვმარტავთ სსსკ-ის 605-ე მუხლის დისპოზიციას, მივიღებთ, რომ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევისას მოსამართლეს ექნება უფლება მისცეს პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულს ახლობლებთან შეხვედრის ნებართვა.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, **შეჯერდა ერთიანი პოზიცია და განისაზღვრა**, რომ სასაჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებული პირის ახლობლებთან ურთიერთობის საკითხი, კანონის თანახმად წრმოადგენს ამ დაწესებულების კომპეტენციას. სასამართლოს უფლებამოსილება ამ საკითხზე, ვრცელდება ერთჯერადი ნებართვის გაცემით უშუალოდ განაჩენის გამოცხადებისთანავე.

IV. შუამდგომლობა. სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვის ფორმა და წესი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით დადგინდა სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვის ახლი სტანდარტი. კერძოდ, სასამართლოს შუამდგომლობა წარედგინება წერილობითი სახით. დასაშვებია ზეპირი შუამდგომლობის წარდგენა იმ შემთხვევაში, თუ ამ კონკრეტული შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველი წარმოიშვა უშუალოდ სასამართლო სხდომაზე. კანონის იმპერატიული მოთხოვნით, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, დაცული უნდა იყოს აგრეთვე მისი სტრუქტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ შუამდგომლობაში გადმოცემული უნდა იყოს ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მისი არგუმენტაცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით შეხვედრაზე მოსამართლეთა მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ კანონის ეს მოთხოვნა ფორმალური ხასიათისაა და პრაქტიკაში სასამართლოს წარედგინება შუამდგომლობა, რომელიც მხოლოდ ფორმალურად ატარებს წერილობითი შუამდგომლობის ნიშნებს, ანუ იგი დაუსაბუთებელია და არ არის მითითებული მოთხოვნის სამართლებრივი არგუმენტაცია, შესაბამისად, მასში გადმოცემულია მხოლოდ მხარის მოთხოვნა.

ამ მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რადგანაც წარდგენილია წერილობითი შუამდგომლობა, სასამართლო, მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებულია განიხილოს იგი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღნიშნული პოზიცია არ იქნა გაზიარებული შეხვედრის მონაწილეთა მიერ და გამოითქვა მოსაზრება, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რბილად რომ ვთქვათ ჩამოაყალიბებს არასწორ სასამართლო პრაქტიკას, იმდენად, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი შუამდგომლობა, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული და მასში არგუმენტირებულად უნდა იქნეს გადმოცემული როგორც მხარის მოთხოვნა, ასევე ამ მოთხოვნის საფუძვლიანობა.

ამდენად, პოზიცია შეჯერდა იმ მიმართებით, რომ სსსკ-ის 231-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით წარდგენილი შუამდგომლობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას შუამდგომლობად და შესაბამისად, იგი არ უნდა იქნას განხილული სასამართლოს მიერ, მიუხედავად მისი აქტუალობისა თუ მნიშვნელობისა.

V. შემდეგი საკითხი, რომელიც განხილულ იქნა წინამდებარე შეხვედრაზე, დაკავშირებულია პრაქტიკაში არსებულ პრობლემასთან, რაც შეეხება **საკასაციო და სააპელაციო საჩივრების წარდგენის ვადას, ამ ვადის დარღვევის სამართლებრივ შედეგსა და ამ საჩივრების წარდგენის უფლებამოსილებას**. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სააპელაციო და საკასაციო საჩივრები, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში წარდგენილია კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ან იგი წარდგენილია მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ მსჯავრდებულის სავალდებულო თანხმობის გარეშე, რაც სამართლებრივად ამ საჩივარს უკარგავს ლეგიტიმაციას და იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც არაუფლებამოსილი პირის საჩივარი. **მოსამართლეთა ერთიანი პოზიციით**, ასეთ შემთხვევაში, საჩივარი, სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით, დაუბრუნდება მის შემომტან პირს და მასვე განემარტება, რომ უფლებამოსილია გაშვებული გასაჩივრების ვადის საპატიოდ მიჩნევის შესახებ შუამდგომლობით მიმართოს გადწყვეტილების გამომტან სასამართლოს, მასვე რა თქმა უნდა უნარჩუნდება უფლება, შესაბამისი დადასტურების შემთხვევაში, ანუ მსჯავრდებულის თანხმობის არსებობისას, წარადგინოს სასამართლოში სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრები.

VI. მსჯელობა გაიმართა სასამართლოში **წერილობითი მტკიცებულებებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით**. აღინიშნა, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა სასამართლოს განაჩენი ემყარება მტკიცებულებას, რომელიც გამოკვლეული არ ყოფილა საქმის განხილვისას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, შეიზღუდა ინკვიზიციურობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში და პროცესი აიგო მხარეთა შეჯიბრებითობაზე, ანუ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით გამოიძახოს და დაკითხოს მოწმე, თუ ამის თაობაზე არ შუამდგომლობენ მხარეები, მითითებულია სხვა ანალოგიური ხასიათის უფლებამოსილებათა შეზღუდვაზე. მიუხედავად ამისა, პროცესით დადგენილია გარკვეული მოქმედებები, რომლებსაც სასამართლო ახორციელებს თავისი ინიციატივით, მათ შორისაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილება, სასამართლომ თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედებათა ოქმები. აქედან გამომდინარე, თუ მხარე არ ახდენს თავისი უფლებების რეალიზებას, სასამართლოს უფლება აქვს გამოიკვლიოს ზემოთაღნიშნული წერილობითი მტკიცებულებები საქმისადმი მისი შესახეობისა და საკმარისობის თვალსაზრისით და შესაბამისად, დაეყრდნოს მათ განაჩენის დადგენისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მტკიცებულებათა სასამართლო განაჩენში ასახვა, რომელიც გამოკვლეული არ ყოფილა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით, არღვევს სსსკ-ის 440-ე მუხლის მოთხოვნას მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის თაობაზე და არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს განაჩენს.

აღნიშნული პოზიცია მთლიანად იქნა გაზიარებული შეხვედრის მონაწილეთა მიერ.

VII. **დაცვის შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე**. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციით დაცვის მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე. ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით, დაცვის მხარეს აღნიშნული შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს პროცესის წარმოების ყველა ეტაპზე. აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება სასამართლოს როლს სისხლის სამართლის პროცესში, იმდენად, რამდენადაც სასამართლო არ არის სისხლის სამართლის დევნის განმახორციელებელი ორგანო და შეუძლებელია მან დანიშნოს ცალკეული საგამოძიებო მოქმედება. ნორმის ვინრო განმარტებით კი იგი შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, რომ დაცვის მხარე უფლებამოსილია საქმის სასამართლოში განხილვისას, მოითხოვოს მისთვის აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რაც სამართლებრივად სწორი განმარტება იქნება აღნიშნული ნორმისა.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა პოზიცია ნორმის სწორი განმარტების და შესაბამისად მართებული სასამართლო პრაქტიკის დანერგვის თვალსაზრისით, დაცვის მხარის აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა განიმარტოს საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში.

**2006 წლის 21 ივლისის შეხვედრაზე შემუშავებული
რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო
პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე:**

- I. სხდომის დარბაზში ადგილიდან წამოძახილი, მობილური ტელეფონის ზარი ან საქმის განხილვისას მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა, დაბალ ხმაზე საუბარი ან სამართალწარმოების მონაწილესთან გადალაპარაკება, სიცილი, მონონების ან დანუნების შეძახილი, ან სხვა იმგვარი ქცევა, რაც იწვევს სამართალწარმოების სხვა მონაწილის ყურადღების მიქცევასა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეშლას – **გაფრთხილება ან დაჯარიმება 50 ლარის ოდენობით**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – **დაჯარიმება 100 ლარის ოდენობით ან/და გაძევება**.

- II. სხდომის დარბაზში ხმამაღალი საუბარი (მათ შორის მობილური კომუნიკაციის საშუალებით), ხშირი გადაადგილება, მოსამართლის ნებართვის გარეშე პროცესის მონაწილესთან საუბარში ჩართვა ან მხარისათვის საკუთარი პოზიციის გამოხატვაში ხელის შეშლის მცდელობა, ადგილიდან რეპლიკის გაკეთება, თუ იგი არ უკავშირდება პროცესის მონაწილის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას, სასამართლოში ხმის გამაძლიერებელი საშუალებებით გაკეთებული განცხადება ან სხვა ქმედება, რაც ხელს უშლის სასამართლოს (მოსამართლეს) პროცესის წარმართვაში ან მიზნად ისახავს სასამართლო პროცესის ჩაშლას ან სასამართლო განხილვის გადადებას – **დაჯარიმება 100-დან 200 ლარამდე ოდენობით ან, განსაკუთრებით სპეციფიურ შემთხვევაში, გაფრთხილება (იგულისხმება თუ ამას აკეთებს დაზარალებული ან სხვა მნიშვნელოვანი შემთხვევა)**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – **დაჯარიმება 150-დან 300 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება**.

- III. სხდომის დარბაზში ან სასამართლოში სამართალწარმოების მონაწილეთა (გარდა მოსამართლისა), სასამართლო მანდატურის, სასამართლოს აპარატის სხვა მოსამსახურეთა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური დაცვის სამსახურის ბადრაგირების დანაყოფის უფლებამოსილ პირთა უპატივცემულობა, მათ მიმართ ირონიული და დამცინავი ეპითეტების გამოყენება, ან სხვა უპატივცემულობის გამომხატველი გამონათქვამები – **დაჯარიმება 250-დან 350 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – **დაჯარიმება 300-დან 400 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება**. იგივე ქმედება ჩადენილი უცენზურო სიტყვების გამოყენებით, აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც წინათ ჩადენილი წესრიგის დარღვევისათვის გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან – **დაჯარიმება 400-დან 500 ლარამდე ოდენობით ან დაპატიმრება 10 დღე-ღამემდე ვადით**.

IV. სასამართლოს (მოსამართლის) უპატივცემულობა, აგრეთვე ირონიული და დამცინავი ეპითეტების გამოყენება ან სხვა შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გაკეთება – **დაჯარიმება 300-დან 400 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება ან დაპატიმრება 15 დღე-ღამემდე ვადით.** იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, აგრეთვე სასამართლოსათვის მატერიალური ზიანის მიყენება – **დაჯარიმება 350-დან 500 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება ან დაპატიმრება 20 დღე-ღამემდე ვადით.** სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ უხამსი ირონიული და დამცინავი ეპითეტების გამოყენება ან სხვა აშკარად შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გაკეთება (მათ შორის უცენზურო სიტყვების გამოყენება) – **დაჯარიმება 400-დან 500 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება ან დაპატიმრება 20-დან 30 დღე-ღამემდე ვადით.** სასამართლოს უპატივცემულობა, რაც მიზნად ისახავს სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციას – **დაპატიმრება 30 დღე-ღამემდე ვადით.**

შენიშვნა:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც წესრიგის დამრღვევი პირი არასამართლებრივი მეთოდებით აპროტესტებს მოსამართლის გადაწყვეტილებას, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას მის მიერ გამოყენებული ზომების გამკაცრების შესახებ იმის მიხედვით, თუ რა ფორმით ხდება ამ გადაწყვეტილების გაპროტესტება.
2. იგივე წესები გამოიყენება, როდესაც წესრიგის დარღვევას ადგილი აქვს სასამართლოში ან სასამართლოს სხდომის დარბაზში გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მანდატური (მანდატურები), რომელიც უფრო ახლოს იმყოფება წესრიგის დამრღვევთან, თავადვე აღკვეთს დარღვევას, ადგენს ოქმს, სადაც დეტალურად მიუთითებს, თუ რაში გამოიხატა წესრიგის დარღვევა. სასამართლოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებას იღებს ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად დარღვევის ხასიათის ადექვატურად.
3. თუ წესრიგის დამრღვევი პირი ნებაყოფლობით არ აღასრულებს თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებას სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ ან თუ სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირი კვლავაც აგრძელებს წესრიგის დარღვევას, ან არ ასრულებს მანდატურის კანონიერ მითითებებს, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოს სხდომის დარბაზიდან ან სასამართლოდან, ამასთან მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებული დაპატიმრება.
4. სასამართლოსათვის მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში (შუშების ჩამტვრევა, ინვენტარის დაზიანება, სასამართლოში გამოკრული საჯარო ინფორმაციის განადგურება და სხვ.), გამოიყენება არანაკლება 20 დღიანი დაპატიმრების ღონისძიება. ამასთან, ზიანის მიმყენებელს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. თუ სასამართლო სხდომის დარბაზში, სასამართლოს შენობაში დამრღვევმა პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცენეს მოსამართლეს, პროკურორს, დამცველს ან პროცესის სხვა მონაწილეს, სასამართლოს მანდატურის მიერ უნდა მოხდეს ამ პირთა დაკავება და პოლიციისათვის გადაცემა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების მიზნით.

**2006 წლის 23 დეკემბრის შეხვედრაზე შემუშავებული
რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის
პრობლემატურ საკითხებზე:**

I. დანაშაულის რეციდივი. სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ამ სტატუსის მიმართება ძველი კოდექსით დადგენილ რეციდივისტის ცნებასთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელიც ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან, განსხვავებით კანონის ადრე მოქმედი რედაქციისაგან, დაამკვიდრა ახალი ცნება დანაშაულის რეციდივისა, განსხვავებით ტერმინისაგან „საშიში რეციდივისტი“. კანონმდებელმა „დანაშაულის რეციდივის“ სტატუსი დაუკავშირა ქმედებას, მის განხორციელებას, განსხვავებით ადრე მოქმედი რედაქციისაგან, როცა „რეციდივისტის“ სტატუსი უშუალოდ დაკავშირებული იყო პიროვნებასთან. როგორც მოსამართლეთა შეხვედრაზე გამოიკვეთა, აღნიშნული საკითხი არაერთგვაროვნად იქნა განმარტებული სასამართლო პრაქტიკაში. კერძოდ, არსებობს მოსაზრება, რომ ახალი კოდექსის ამოქმედებამდე ჩადენილმა დანაშაულმა არ შეიძლება მოგვეცეს დანაშაულის რეციდივი, იმდენად რამდენადაც კანონმდებლის ნება და მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულია და „დანაშაულის რეციდივის“ აქვს ადრე მოქმედი „რეციდივისტისაგან“ განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი. შეხვედრაზე დამსწრე მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან მიმართებაში არასწორია და იგი საჭიროებს გადახედვას. ეს მოსაზრება ემყარება შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ არგუმენტებს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 44-ე მუხლი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის სტატუსს ანიჭებდა პირს, რომელიც თავისუფლების აღკვეთით იყო მსჯავრდებული კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენისათვის, ანუ ამ სტატუსის პირისათვის მინიჭება იმთავითვე დაკავშირებული იყო მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან. სწორედ დანაშაული და მისი კატეგორია განსაზღვრავდა მისი ჩამდენი პირის განსაკუთრებულ სტატუსს, რაც თავისთავად განმსაზღვრელია პირის მიმართ სასჯელის დანიშვნისას. კანონის ახალი რედაქციით პრიორიტეტი მიენიჭა დანაშაულს და არა პიროვნებას. თავისთავად არ არსებობს დანაშაული პიროვნების გარეშე. შესაბამისად, შეუძლებელია მკვეთრად გავმიჯნოთ „საშიში რეციდივისტისა“ და „დანაშაულის რეციდივის“ მცნებები და იმ ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომ პირმა 2000 წლის 1 ივნისამდე ჩაიდინა ორი ან მეტი განზრახვი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ხოლო 2000 წლის 1 ივნისის, ანუ ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ კვლავ ჩაიდინა განზრახვი დანაშაული, მასზე არ გავავრცელოთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლი. ასეთის შემთხვევაში, პირი, რომელიც არაერთხელ იყო მსჯავრდებული და არ იქნა მიღწეული სასჯელის ძირითადი მიზანი – პირის რესოციალიზაცია და საზოგადოების სრულფასოვან წევრად მისი ჩამოყალიბება, მოიპოვებს განსაკუთრებულ შეღავათებს, ახალი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას.

ამდენად, შეხვედრის მონაწილეთა ერთიანი მოსაზრების შედეგად, ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ **დანაშაულის რეციდივი სახეზეა მაშინაც, როდესაც პირმა ახალი განზრახვი დანაშაული ჩაიდინა 2000 წლის 1 ივნისის (ანუ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების) შემდეგ, ხოლო წინა დანაშაული (დანაშაულები) მას ჩადენილი აქვს 2000 წლის 1 ივნისამდე.**

II. დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესს, რაც ადგენს სასამართლოს მიერ სასჯელის დაუნიშნავად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ვალდებულებას, თუ განსასჯელი გარდაიცვალა. მოსამართლეთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 452-ე მუხლის მესამე ნაწილი აძლევს შესაძლებლობას სასამართლოს ამავე კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილი საფუძვლების არსებობისას, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლო უფლებამოსილია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ შემთხვევაშიც, თუ განსასჯელი გარდაიცვალა. აღნიშნული მოსაზრება არ იქნა გაზიარებული შეხვედრის მონაწილეთა მიერ. შესაბამისად, ჩამოყალიბდა სამართლებრივად დასაბუთებული შემდეგი პოზიცია: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 452-ე მუხლი ადგენს ზოგად წესებს ამავე კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილი საფუძვლებისას სასამართლოს მიერ მიღებულ შესაძლო გადაწყვეტილებათა შესახებ. აქვე აღინიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, პირი განსასჯელის სტატუსს იძენს საქმის სასამართლოში ჩაბარებისთანავე. შესაბამისად შეუძლებელია მასზე გავრცელდეს სსსკ-ის 28-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით საქმის შეწყვეტის საფუძვლები იმდენად, რამდენადაც კანონის ეს ნორმა არეგულირებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლებს ექვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ. რაც შეეხება სსსკ-ის 503-ე მუხლს, იგი სპეციალური ნორმაა და ადგენს განსაკუთრებულ წესს, განსასჯელის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. აქვე აღინიშნა, რომ ეს წესი რა თქმა უნდა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ შესაბამისი სამართლებრივი ინტერესის მქონე პირი არ მოითხოვს გარდაცვლილი განსასჯელის გამართლებასა და მის რეაბილიტაციას.

შეხვედრაზე დაისვა საკითხი, **საქმის წარმოების რა ეტაპზეა შესაძლებელი განსასჯელის გარდაცვალების გამო სასჯელის დაუნიშნავად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.** აღნიშნულთან დაკავშირებით განიმარტა, რომ სსსკ-ის 503-ე მუხლი ადგენს, რომ განსასჯელის გარდაცვალების ფაქტი სასამართლოსათვის ცნობილი უნდა გახდეს განაჩენის გამოტანისას, ანუ მის მიერ, სასამართლო გამოძიების ჩატარების გზით, გამოკვლეული უნდა იქნას საქმის მასალები და უნდა არსებობდეს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის კანონით დადგენილი საფუძვლები. ნორმის სიტყვა-სიტყვით განმარტების შემთხვევაში, მივიღებთ, რომ „განაჩენის გამოტანისათვის“ ნიშნავს სასამართლოს მიერ განსასჯელის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიღებას სათათბირო ოთახში, რაც არა მარტო არალოგიკურია, არამედ შეუძლებელიც. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას კანონის გრამატიკული განმარტება, რაც საფუძვლიანია იმისა, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღოს განაჩენის გამოტანისათვის დადგენილი შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ამონაწილის შემდეგ.

III. **პირობით მსჯავრდებულის ძებნის გამოცხადება. პროცესის მონაწილე სუბიექტები.** პრაქტიკაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულის ძებნის გამოცხადებისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის განხილვისას, საქმის წარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტთა თაობაზე. ერთნი მიიჩნევენ, რომ ამ საკითხის განხილვაში პროკურორი არ მონაწილეობს, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის პროცესში პროკურორი არ მონაწილეობს. ამ მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ პირობით მსჯავრდებულის ძებნა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის გადაწყვეტა თავისთავად წარმოადგენს განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხს. მეორე მოსაზრების ავტორები ემხრობიან აზრს, რომ აღნიშნული საკითხი არ შედის განაჩენის აღსრულებისას დამატებით გადასაწყვეტ საკითხთა რიცხვში და იგი დაკავშირებულია უშუალოდ განაჩენის აღსრულებასთან. ამავე მოსაზრების ავტორები ეყრდნობიან სსსკ-ის 623-ე მუხლს, რომელიც ადგენს იმ საგამონაკლისო ნორმებსა და გარემოებებს, რომელთა განხილვაში და გადაწყვეტაში არ მონაწილეობს პროკურორი. სსსკ-ის 606-ე მუხლით დადგენილი შემთხვევა, სსსკ-ის 623-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებში არ შედის, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ პირობით მსჯავრდებულის ძებნის გამოცხადებისა და მის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმების თაობაზე პრობაციის ბიუროს წარდგინების განხილვაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

აქვე აღინიშნა, რომ **სასამართლოს მიერ დანიშნული პირობითი მსჯავრის დინება ფაქტობრივად წყდება** პირის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამოვლენისთანავე, ანუ იმ დროიდან, როცა პრობაციის ბიუროს წარმომადგენლის შესაბამისი აქტით ირკვევა, რომ პირობით მსჯავრდებულმა დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობა.

აქვე განიმარტა სსსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესი განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა **გასაჩივრების** თაობაზე. აღნიშნული მუხლი ადგენს განსხვავებულ წესს კონკრეტულ

საკითხთა გასაჩივრებისას. კერძოდ, სსსკ-ის 607-ე-611-ე, 618-ე-619-ე და 622-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვისას სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება ერთჯერადად შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოში. რაც შეეხება ამ თავით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს, მასზე გასაჩივრების განსაკუთრებული წესი არ ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხები საჩივრდება კანონით დადგენილი წესით, ანუ როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო საჩივრით.

ყურადღება გამახვილდა სასამართლოს მიერ სასჯელმოსხმელი პირის მიმართ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვაზე. ეს საპროცესო მოქმედება რეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 618-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამ საკითხის განხილვის საფუძველია თვით სასჯელმოსხმელი პირის, მისი დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობა. **კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით ამ საკითხის განხილვაში პროკურორი არ მონაწილეობს.** პირის მიმართ ნასამართლობის მოხსნის საკითხზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნულ საგამონაკლისო წესს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ადგენს სსსკ-ის 623-ე მუხლი.

IV. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლით დადგენილია აღკვეთის ღონისძიების სახეები. დაპატიმრება, საპროცესო კოდექსით დადგენილ აღკვეთის ღონისძიებათა შორის ყველაზე მძიმე ღონისძიებაა, რომლის გამოყენება სასამართლოს მიერ ხდება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავე კოდექსის 159-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლით ან მეტი ვადით. კანონის ეს ნორმა ადგენს, რომ აღკვეთის ღონისძიების ამ სახის გამოყენებისას, პირის მიმართ წარდგენილი ბრალდების სანქციის მაქსიმალური ზღვარი არ შეიძლება იყოს ორ წელზე ნაკლები. საკითხის აქტუალობა დაკავშირებულია ამ კატეგორიის დანაშაულებზე ბრალდების მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების, ან ე.წ. „საგირავნო პატიმრობის“ გამოყენების თაობაზე შუამდგომლობების არსებობით. „საგირავნო პატიმრობა“, როგორც მას პრაქტიკაში უწოდებენ, არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების დამოუკიდებელ სახეს. სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო, პროკურორის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად პირს უფარდებს წინასწარ პატიმრობას. ამავე კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილია, რომ დაპატიმრება და წინასწარი პატიმრობა იდენტური ცნებებია. აქედან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების, გირაოს ამოქმედებამდე, ანუ იმ დრომდე, სანამ პირი შეიტანს გირაოს სახით დაკისრებულ ფულად თანხას პროცესის მწარმოებელი ორგანოს სადეპოზიტო ანგარიშზე, ან მის ექვივალენტ უძრავ ქონებას, პირს შეფარდებული აქვს დაპატიმრება.

V. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივისა და დანაშაულის მცდელობისას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლით დადგენილია, რომ დანაშაულის მცდელობისას სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს. ამავე კოდექსის 58-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დადგენილია სასჯელის დანიშვნის სტანდარტი დანაშაულის რეციდივისას. ამ ორ პრინციპს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება. კერძოდ, განსაკუთრებით საშიში რეციდივის არსებობისას დასანიშნო სასჯელის მინიმალური ზღვარია კონკრეტული მუხლის სანქციით დადგენილი სასჯელის მაქსიმალური ვადის სამი მეოთხედი, ხოლო მეორე შემთხვევაში – სასჯელი არ შეიძლება იყოს სანქციის მაქსიმუმის სამ მეოთხედზე მეტი. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ სახეზეა დანაშაულის მცდელობა და იმავდროულად რეციდივი, სასჯელის დანიშვნისას პრიორიტეტი ენიჭება დანაშაულის მცდელობისათვის დადგენილ წესებს.

VI. გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხის და უძრავი ქონების დაბრუნების წესი და პირობები. გირაო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება, რომელიც განსასჯელის (ბრალდებულის) სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად შეაქვს თვით განსასჯელს (ბრალდებულს) ან მისი სახელით ნებისმიერ სხვა პირს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, თუ განსასჯელი (ბრალდებული) ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მის მიმართ არჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, გირაოს სახით შეტანილი ფული ან ქონება უბრუნდება გირაოს შემტან პირს. განსასჯელის (ბრალდებულის) სათანადო ქცევაში იგულისხმება პროცესის მწარმოებელ ორგანოში მისი გა-

მოცხადება. ამასთან ერთად, განსასჯელის (ბრალდებულის) მიერ დაცული უნდა იყოს აღკვეთის ღონისძიების შერჩევით და შეფარდებისათვის დადგენილი ძირითადი წესები, რომლებიც განსაზღვრულია სსსკ-ის 151-ე მუხლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ბრალდებული (განსასჯელი) მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების, გირაოს მოქმედების პერიოდში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ამოქმედდება სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილი, იმდენად რამდენადაც მის მიერ დარღვეული იქნება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი – პირის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა.

თუ პირის მიმართ შეიცვალა ბრალდების ფორმულირება, ეს რა თქმა უნდა ავტომატურად არ შეიძლება გახდეს გირაოს სახით შეტანილი ქონების სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის საფუძველი, იმდენად რამდენადაც ადგილი არ აქვს პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენას.

VII. დანაშაულის რეციდივი პირობითი მსჯავრის გამოყენებისას. სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლი გვაძლევს დანაშაულის რეციდივის სამართლებრივ დეფინიციას. ამავე მუხლის მე-2-ე და მე-3 ნაწილები ადგენს საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივის მცნებას და ამ სტატუსს ანიჭებს წინათ განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიერ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას. საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივის ამგვარმა სამართლებრივმა დეფინიციამ პრაქტიკაში წარმოშვა კითხვა, არის თუ არა სახეზე საშიში რეციდივი, თუ პირი ორჯერ არის ნასამართლავი განზრახი დანაშაულისათვის და მის მიმართ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი და იგი კვლავ ჩაიდენს განზრახ დანაშაულს, რომლისთვისაც უსჯიან თავისუფლების აღკვეთას. საკითხის განმარტებისათვის უნდა დავეყრდნოთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლს, სადაც იმპერატიულადაა დადგენილი სასჯელის სახეები. პირობითი მსჯავრი თავისთავად სასჯელის სახე არ არის. პირობითი მსჯავრი, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას, ენიშნება პირს თავისუფლების აღკვეთის „ნაცვლად“, ანუ, იმისათვის, რომ პირობით მსჯავრამდე მივიდეთ, პირს უნდა განუვსაზღვროთ რეალური სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პირის მიმართ გამოყენებული იყო პირობითი მსჯავრი, ადგილი ექნება საშიშ (განსაკუთრებით საშიშ) რეციდივს.

VIII. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების აღსრულების პროცედურა. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 2 თებერვლის №53 ბრძანებულებით ცვლილებები შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივნისის №209 ბრძანებულებაში, რაც ითვალისწინებს „სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების, განადგურების, განაწილებისა და/ან რეალიზაციის წესს“. ბრძანებულებით განისაზღვრა ის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ საქმიანობას. ამ მიზნით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო სააგენტო. ამავე ბრძანებულებით, ქონების აღრიცხვაზე, შენახვაზე, შეფასებაზე, განადგურებაზე, განაწილებასა და/ან რეალიზაციაზე ზედამხედველობას სისხლის სამართლის საქმებთან დაკავშირებით ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს სასარგებლოდ მიქცეულ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზება ეკისრება სპეციალურად ამ უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოს – საფინანსო სააგენტოს და არა სააღსრულებო ბიუროს, ხოლო ამ პროცედურაზე ზედამხედველობა კი – გენერალურ პროკურატურას.

IX. ნარკოტიკული საშუალების შენახვისა და განადგურების წესი და პროცედურა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 6 მარტის №295-ე ბრძანებით დამტკიცდა „უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შენახვისა და განადგურების წესის შესახებ“ ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერებები ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ საცავში. ამ ნივთიერებათა განადგურებას სამ თვეში ერთხელ ახორციელებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტისა და საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომლები, ხოლო განადგურების პროცესს ესწრებიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის უფლებამოსილი პირები. ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დეტალურადაა მოწესრიგებული ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერებების შენახვის, საცავიდან მისი გამოთხოვის, განადგურების წესი. ამდენად, სასა-

მართლო, საქართველოს სსსკ-ის 509-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვალდებულია რა გადაწყვიტოს ნივთმტკიცების საკითხი, ადგენს, რომ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალები, მისი ანალოგი ან პრეკურსორი, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერებები ექვემდებარება განადგურებას, ხოლო ამ ნივთიერებათა განადგურებას ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური კომისია.

X. საპროცესო ვადა. ვადის აღდგენაზე უარი და მისი გასაჩივრების წესი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-216-ე მუხლებით დადგენილია საპროცესო ვადების გამოთვლის წესები და ამ ვადის გასვლასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები. პროცესის მწარმოებელი ორგანო (ჩვენს შემთხვევაში სასამართლო) უფლებამოსილია ვადის გამცდენი პირის დასაბუთებული შეამდგომლობით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაშვებული საპროცესო ვადა. საპატიო მიზეზი შეფასებითი ცნებაა და იგი სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა დაადგინოს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება. რაც შეეხება ვადის აღდგენაზე უარს, აღნიშნული გადაწყვეტილება სსსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ერთჯერადად შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში, საერთო წესით.

XI. განაჩენის აღსრულების გადავადება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გადაავადოს თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსრულება სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე იმავე განაჩენით ან დადგენილებით (განჩინებით) განაჩენის გამოტანის შემდეგ. საკითხი მარტივი და ნათელია განაჩენის გამოტანისას მისი აღსრულების გადავადებასთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც ექსპერტიზის დასკვნა, რაც სამართლებრივი საფუძველია განაჩენის აღსრულების გადავადებისა, აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს საქმის მასალებში. რაც შეეხება განაჩენის გამოტანის შემდეგ მისი აღსრულების გადავადებას, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, სსსკ-ის 607-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აქვთ მსჯავრდებულს, მის დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს, ახლო ნათესავს ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს. აღნიშნული მუხლით არ არის დადგენილი სასამართლოს ვალდებულება ან თუნდაც უფლებამოსილება, დანიშნოს ექსპერტიზა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით. მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, შუამდგომლობის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს ამ შუამდგომლობის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულება. ამდენად, აღნიშნული შუამდგომლობის წარდგენისას უფლებამოსილმა პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა მსჯავრდებულის ფსიქიკური ან სხვა მძიმე დაავადებით დაავადების თაობაზე, რაც ხელს უშლის მის მიერ სასჯელის შემდგომ მოხდას.

სასამართლოს მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით საქმის წარმოება არ მთავრდება, ვინაიდან პირის გამოჯანმრთელების, ან მისი მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების შემთხვევაში, მან უნდა მოიხადოს განაჩენით დანიშნული სასჯელი. გამომდინარე იქედან, რომ განაჩენის აღსრულება გადავადებულია სასამართლოს მიერ და განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა სასამართლოს პრეროგატივაა, სასამართლომ, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში უნდა განახორციელოს პირის ჯანმრთელობაზე კონტროლი შესაბამისი ექსპერტიზის დანიშვნის გზით, რათა პირის გამოჯანმრთელების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს განაჩენის აღსრულება. ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს შეუძლია განაჩენის გადავადებასთან დაკავშირებით მიღებულ საპროცესო აქტში, სადაც განისაზღვრება ექსპერტიზის ჩატარების პერიოდულობა.

XII. სასჯელის დანიშვნა მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობისას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმარტებულია, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის დადებული შეთანხმებაა ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების არსიდან გამომდინარე, პირობებს ურთიერთ-შორის ათანხმებენ მხარეები. საპროცესო შეთანხმების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება: დაამტკიცოს მხარეთა შორის დადებული შეთანხმება და გამოიტანოს განაჩენი, ან უარყოს შეთანხმება და საქმე საბრალდებო დასკვნის შესადაგენად დაუბრუნოს პროკურორს. ერთადერთი კორექტირება სასამართლოს შეუძლია შეიტანოს სასჯელის ნაწილში, მისი შემსუბუქების თვალსაზრისით.

სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ადგენს სასამართლოს მიერ ე.წ. ნაწილობრივ პირობითი მსჯავრის დანიშვნის წესს, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არსებობისას. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საპროცესო შეთანხმებისას ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა უფრო მსუბუქია, ვიდრე სსკ-ით ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა. ასეთ შემთხვევაში, ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ამავე კოდექსის 55-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არსებობისას.

XIII. პირობითი მსჯავრის დანიშვნა საპროცესო შეთანხმებისას, თუ ახალი დანაშაული ჩადენილია სასამართლოს მიერ დანიშნული პირობითი მსჯავრის განმავლობაში. საპროცესო შეთანხმება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა შორის დადებული შეთანხმებაა, რომელიც შესაძლებელია ითვალისწინებდეს სრულიად განსაკუთრებულ პირობებს, მათ შორის ითვალისწინებს სასჯელისაგან პირის სრულად განთავისუფლების შესაძლებლობას. საპროცესო შეთანხმებისას პირობითი მსჯავრის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ პირის მიერ დანაშაული ჩადენილია სასამართლოს მიერ დანიშნული პირობითი მსჯავრის განმავლობაში. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა თვით საპროცესო შეთანხმების არსი, რომელიც ანიჭებს მხარეებს უფლებამოსილებას, ურთიერთხელსაყრელი პირობების არსებობისას, შეთანხმდნენ როგორც ბრალზე, ასევე სასჯელზე. სისხლის სამართლის კოდექსი, მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმებისას პირობითი მსჯავრის გამოყენებას შესაძლებლად მიიჩნევს ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის ჩადენისას, ანუ ამ ინსტიტუტის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, წაახალისოს პირის მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობა, რაც ასახვას ჰპოვებს მის მიმართ გამოყენებული სასჯელის სახესა და ზომაზე.

XIV. რეაბილიტაცია, რეაბილიტირებულის უფლებების აღდგენა. ამ საკითხთან მიმართებაში სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია და შესაბამისად მოითხოვს დახვეწასა და სწორ ჩამოყალიბებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, რეაბილიტაციის საფუძველია გამამართლებელი განაჩენი, დადგენილება მარეაბილიტირებელი საფუძველებით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე სამედიცინო ხასიათის იძულების ღონისძიების გამოყენების თაობაზე უკანონო აქტის გაუქმება, ანუ პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, უკვე ნიშნავს მის რეაბილიტაციას და დამატებითი აქტის გამოტანა არა თუ სავალდებულო არ არის, საერთოდ გათვალისწინებული არაა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით. სსკ-ის 227-ე მუხლის თანახმად, რეაბილიტირებულ პირს სასამართლო განუმარტავს მისთვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლებას, ხოლო ზიანის ანაზღაურებისა და უფლებების აღდგენის შესახებ პირმა სასამართლოს უნდა მიმართოს გამამართლებელი განაჩენის (ან რეაბილიტაციის სხვა აქტის) გამოტანის შემდეგ 6 თვის ვადაში. ამდენად, კანონის აღნიშნული დანაწესი, სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, ითვალისწინებს პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების, ამ უფლების რეალიზაციის წესისა და ვადის განმარტებას.

XV. პრაქტიკაში აქტუალურია საკითხი პირისათვის წინასწარი გამოძიებისას წარდგენილი ბრალდების სისხლის სამართლის კოდექსის (2006 წლის 31 მაისის ცვლილებებით) ამჟამად მოქმედი რედაქციის შესაბამის მუხლთან ან მის ნაწილთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. კანონში განხორციელებული ცვლილებებით, შეიცვალა არა მხოლოდ მუხლის სანქციით განსაზღვრული სასჯელის სახეები და ზომა, არამედ სანქციის ცვლილება დაუკავშირდა დანაშაულთა კატეგორიის შეცვლას. მატერიალური კანონმდებლობით განისაზღვრა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის ზღვრული ოდენობა და იგი უნდა იყოს 150 ლარზე ზევით. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა და კანონის მოქმედ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანა სავალდებულოა როგორც პირველი ინსტანციის, ასევე ზემდგომი სასამართლოების მიერ.

XVI. პატიმრობის ვადა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია ბრალდებულისა და განსასჯელის პატიმრობის საერთო ვადა და იგი არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამავე კოდექსის 681-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული ნორმა ამოქმედდება 2007 წლის 1 იანვრიდან, ანუ 2007 წლის 1 იანვრიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში შესულ საქმეზე მოქმედებს პატიმრობის გონივრული ვადა,

რომელიც არ უნდა იყოს ერთად აღებული ცხრა თვეზე მეტი და რომლის ათვლაც იწყება პირის დაკავებიდან ან დაპატიმრების შესახებ მოსამართლის ბრძანების აღსრულების მომენტიდან.

XVII. აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის რამდენჯერმე გამოყენება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ აუცილებელია კიდევ ერთხელ განვიხილოთ საკითხი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების, დაპატიმრების რამდენჯერმე გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე. მოსამართლეთა შეხვედრებზე შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად ამ საკითხზე ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია და მიჩნეულ იქნა, რომ პირის მიმართ დაპატიმრების რამდენჯერმე გამოყენება შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. ეს მოსაზრება შესაძლებელია განვავრცოთ და აღვნიშნოთ, რომ თუ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, რომელზეც შესაძლებელია გამოყენებული იქნას აღკვეთის ღონისძიების სახედ დაპატიმრება, ყველა შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია პირს შეუფარდოს დაპატიმრება, თუნდაც იგი დაპატიმრებული (თავისუფლებააღკვეთილი) იყოს სხვა დანაშაულისათვის.

**2007 წლის 27 იანვრის შეხვედრაზე შემუშავებული
რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის
პრობლემატურ საკითხებზე:**

I. აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება. შუამდგომლობის განხილვის ორსაფეხურიანი ეტაპი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-17 ნაწილში განხორციელებული ცვლილებებით, კანონმდებელმა დაადგინა აღკვეთის ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის ახლებური სამართლებრივი რეჟიმი. საკითხის განხილვის პირველ ეტაპზე მოსამართლე, ზეპირი მოსმენის გარეშე, წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს. კერძოდ, საქმის მთელ მასალაზე დაყრდნობით წყვეტს, გამოკვლეული იქნა თუ არა არსებითად იგივე საკითხები აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ან განხილული იქნა თუ არა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა აღკვეთის ღონისძიების სახეზე. საკითხს, შუამდგომლობის დასაშვებად ან დაუშვებლად მიჩნევის თაობაზე, მოსამართლე წყვეტს საქმის ყველა მასალის სასამართლოში შეტანიდან 24 საათის განმავლობაში. საკითხის განხილვის შედეგია მოსამართლის დადგენილება, შუამდგომლობის დასაშვებად მიჩნევის ან მისი განუხილველად დატოვების თაობაზე.

ცალკე განვიხილოთ თითოეული საპროცესო დოკუმენტის თანამდევი სამართლებრივი შედეგი: 1) შუამდგომლობის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში, მოსამართლე ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 24 საათში ატარებს ზეპირ მოსმენას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც გასაჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2) **შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად, სსსკ-ის 243-ე მუხლით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.** სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, **მასალებს უბრუნებს შუამდგომლობის განმხილველ სასამართლოს დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად,** ანუ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია არ არის უფლებამოსილი თავად გადაწყვიტოს საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ მოსამართლის დადგენილების გაუქმების შემთხვევაში, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-17 ნაწილით დადგენილი წესით, წყვეტს ამ შუამდგომლობის დასაშვებად მიჩნევისა და ზეპირი მოსმენით მისი განხილვის საკითხს.

აქვე საყურადღებოა ერთი საკითხი. კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა შუამდგომლობის განხილვის პროცე-

დურა, რაც დაკავშირებულია ამ შუამდგომლობის განხილვის ვადის ათვლასთან. **საკითხის სიცხადისთვის მიზანშეწონილია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ზუსტად იქნას მითითებული განხილვის დრო, საათი, წუთი.** ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული საპროცესო დოკუმენტები (სასამართლო სხდომის ოქმი, გადაწყვეტილება) იყოს სრულყოფილად დასაბუთებული.

II. მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა სსსკ-ის 168-ე მუხლში. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილით ჩამოყალიბდა იმ პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომლის მიმართაც სასამართლო იყენებს ე. წ. „საგირავნო პატიმრობას“. სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-6 ნაწილის ახალი რედაქციით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პატიმრობა შეეფარდება პირს, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების სახით გამოყენებულია დაკავება. კანონის აღნიშნული დანაწესი იმპერატიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაკავებული პირი უნდა იყოს დაპატიმრებული პროცესის მწარმოებელი ორგანოს დეპოზიტზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (არანაკლებ 50%) შეტანამდე. პირის მიერ ვალდებულების შესრულებას, ანუ პროცესის მწარმოებელი ორგანოს დეპოზიტზე გირაოს შეტანას ადასტურებს სწორედ პროცესის მწარმოებელი ორგანო, რომელიც ვალდებულია აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში პატიმრობიდან გაათავისუფლოს ბრალდებული.

III. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა გააფართოვა იმ სუბიექტთა ვინაობა, რომელთა მიმართ დასაშვებია სისხლის სამართლის პროცესის წარმოება მათი მონაწილეობის გარეშე. პროცესის წარმოება დასაშვებია ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში ან სასამართლოში გამოცხადებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვის შემთხვევაში, მსჯავრდებულს აქვს უფლება მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გაასაჩივროს დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო პროცესს ატარებს სრული მოცულობით და იკვლევს ყველა მტკიცებულებას, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი გამოკვლეული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გადაწყვეტილება გამოტანილია მის დაუსწრებლად სააპელაციო, ან თუნდაც საკასაციო სასამართლოს მიერ, აქვს უფლება დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს იგი სააპელაციო წესით.

IV. მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასამართლოს უფლებამოსილებების სფეროში. საპროცესო შეთანხმება მხარეთა შორის შეთანხმებაა, მათი ნების გამოვლენაა, რაც იმას ნიშნავს რომ პირობებს ადგენენ მხარეები. საპროცესო შეთანხმების თაობაზე შუამდგომლობის არსებობა ნიშნავს იმას, რომ შეთანხმების პირობები გაანალიზებულია და მისაღებია ორივე მხარისათვის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679⁴-ე მუხლის 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია, უშვებდა შესაძლებლობას სასამართლოს ცვლილება შეეტანა მხარეთა მიერ მიღწეულ შეთანხმებაში და შეემსუბუქებინა პროკურორის მიერ მოთხოვილი სასჯელი განსასჯელის სასიკეთოდ. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეწინააღმდეგებოდა საპროცესო შეთანხმების არსს, იმდენად, რამდენადაც საპროცესო შეთანხმება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა შორის შეთანხმებაა და მისი პირობების შეცვლა მესამე სუბიექტის (ამ შემთხვევაში სასამართლოს) მიერ, თუნდაც ერთი მხარის ინტერესების სასარგებლოდ, ეწინააღმდეგება ან შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს მეორე მხარის ინტერესებს, რაც მხარეთა შორის შეთანხმებას გამორიცხავს. ამ მიმართებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტდა, რომ სასამართლო უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს საპროცესო შეთანხმებაში მხოლოდ და მხოლოდ ორივე მხარის თანხმობის არსებობის შემთხვევაში. კანონმდებლის აღნიშნული პოზიციით დაცულია ორივე მხარის უფლება დადონ საპროცესო შეთანხმება ურთიერთხელსაყრელი პირობებით.

**2007 წლის 20 მაისის შეხვედრაზე შედგენილი
რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის
პრობლემატურ საკითხებზე:**

- I. საკითხი შეეხო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას დაკავებული ძებნილი პირის სასამართლოში წარდგენის მიზანშეწონილობას. კერძოდ, მოქმედებს თუ არა საქართველოს სსსკ-ის 160-ე მუხლის დანაწესი სისხლის სამართლის საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** საქართველოს სსსკ-ის 160-ე მუხლის აღნიშნული დებულება მოქმედებს წინასწარი გამოძიების დროს და არ ეხება სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარმოშობილ ურთიერთობებს, ანუ თუ საქმე გადაიგზავნა სასამართლოში არსებითად განსახილველად და შემდეგ მოხდა ძებნილი პირის (უკვე განსასჯელის) დაპატიმრება, იგი არ უნდა წარედგინოს სასამართლოს სსსკ-ის 160-ე მუხლის შესაბამისად.

- II. საკითხი შეეხო ადვოკატის მონაწილეობის სავალდებულობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას (საპროცესო შეთანხმება). კერძოდ, სავალდებულოა თუ არა ასეთ შემთხვევაში ადვოკატის მონაწილეობა?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი იძულებითი დაცვის ერთ-ერთ გარემოებად აღგენს, როდესაც ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე მოლაპარაკების დაწყების მომენტიდან სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანამდე, მოქმედებს ბრალდებულის (განსასჯელის) იძულებითი დაცვის პირობა.

- III. საკითხი შეეხო სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანებისას სასჯელის დანიშვნას. კერძოდ, პირის მიმართ გაერთიანებულია ერთიდაიგივე ბრალდების რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე (მაგ. სსკ-ის 273-ე მუხლი), ასეთ შემთხვევაში ინიშნება თუ არა სასჯელი თითოეული დანაშაულისთვის ცალცალკე?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** ასეთი სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანებისას სასჯელი უნდა დაინიშნოს თითოეული დანაშაულისთვის, ანუ თუ პირი თითოეული საქმით, რომლებიც გაერთიანდა, ბრალდებულია საქართველოს სსკ-ის ერთი მუხლით (მაგ. სსკ-ის 273-ე მუხლი – პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება), გასარკვევია – აქვს თუ არა კონკრეტულ მუხლს არაერთგზისობა, როგორც მაკვალიფიცირებული გარემოება. შესაბამის მუხლში არაერთგზისობის არარსებობის შემთხვევაში თითო-

ეული დანაშაულისთვის სასჯელი ინიშნება ინდივიდუალურად და გამოიყენება საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი სასჯელთა შეკრების წესი.

- IV.** საკითხი შეეხო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) სხვადასხვა ნაწილებით სასჯელის დანიშვნის წესს. კერძოდ, მოიცავს თუ არა აღნიშნული მუხლის III ნაწილი I და II ნაწილებით დადგენილ ქმედებებს და ინიშნება თუ არა ამ დროს ერთი სასჯელი?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც მოიცავს საქართველოს სსკ-ის ერთი მუხლის რამდენიმე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, უნდა დაკვალიფიცირდეს და სასჯელი განისაზღვროს კონკრეტული მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით მაშინ, როდესაც სსკ-ის მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინა ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას.

მაგალითად, თუ ჩადენილია დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით, ამავე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით) და ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ), განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ქმედების კვალიფიკაცია და სასჯელის დანიშვნა საბოლოოდ უნდა მოხდეს 260-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

- V.** საკითხი შეეხო განსასჯელის მიერ სასამართლოს წინაშე თავის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მის მიერ გამოძიებით დაუდგენელი თანამონაწილის ვინაობის განუცხადებლობისას ან სასჯელთა შეჯამებით, სასჯელის ზომად 15 წელზე მეტი ვადით სასჯელის დანიშვნისას სასამართლო გამოძიების შეკვეცის შესაძლებლობას. კერძოდ, შეიძლება თუ არა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში შეიკვეცოს სასამართლო გამოძიება?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** საქართველოს სსკ-ის 473-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად – „თუ განსასჯელმა სასამართლოს (მოსამართლის) წინაშე თავი დამნაშავედ ცნო და ეს აღიარება ნებაყოფლობითია, არ იწვევს მხარეთა დავას და სასამართლოს ეჭვს, სასამართლო გამოძიება სასამართლო განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება არ ჩატარდეს ან შეიკვეცოს“. აღნიშნული ფორმულირებით ნებაყოფლობით აღიარებად მიჩნეულია განსასჯელის მიერ სასამართლოს წინაშე თავის დამნაშავედ ცნობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასამართლო არ არის შეზღუდული შეკვეცოს სასამართლო გამოძიება.

ამასთან, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 473-ე მუხლის IV ნაწილით სასამართლო გამოძიების შეკვეცის აკრძალვა ვრცელდება ერთი დანაშაულისათვის სასჯელის სახით 15 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემთხვევაზე, სასამართლო გამოძიების შეკვეცა შესაძლებელია მაშინაც, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობისას ცალკე მუხლები არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას 15 წელზე მეტი ვადით, მაგრამ პირს შეიძლება სასჯელების შეკრების შედეგად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით.

- VI.** საკითხი შეეხო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს. კერძოდ, ისეთ შემთხვევას, როდესაც პირს ჰქონდა ორი პირის მკვლელობის განზრახვა, შედეგი კი დადგა მხოლოდ ერთი პირის მიმართ, ხოლო მეორე გადარჩა. სსკ-ის რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს პირის ქმედება და რა სასჯელი უნდა დაინიშნოს?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** ვინაიდან, ზემოაღნიშნული დანაშაულის დროს სახეზეა ერთი ქმედება და ფაქტობრივად აღნიშნულიდან გამომდინარე ორი განსხვავებული შედეგი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც საქართველო სსკ-ის 108-ე მუხლით (ან 109-ე მუხლით), ასევე სსკ-ის 19,109-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და უნდა დაინიშნოს ერთი სასჯელი.

- VII.** საქართველოს სსკ-ის 165-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებულია მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურების შესაძლებლობა.

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია**: ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 165-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავების ან დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, მორალური ზიანი ფულადი კომპენსაციით შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავება ან დაპატიმრება. ამასთან, სასამართლოს მიერ აუცილებლად უნდა იქნეს დასაბუთებული დაკავების ან დაპატიმრების უკანონობა ან დაუსაბუთებლობა.

VIII. საკითხი შეეხო დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მიყენებული მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურების შესაძლებლობას.

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია**: ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურებას არ იცნობს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაწერა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, მორალური ზიანი ფულადი კომპენსაციით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს თვით დაზარალებული, დაზარალებულის უფლებამონაცვლეს არ შეიძლება მორალური ზიანი აუნაზღაურდეს ფულადი კომპენსაციით.

IX. საკითხი შეეხო საქართველოს სსკ-ის 260-ე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) და 262-ე (საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა) მუხლებს. კერძოდ, შესაძლებელია თუ არა, რომ ქმედებები ერთდროულად დაკვალიფიცირდეს როგორც სსკ-ის 260-ე მუხლით, ისე 262-ე მუხლით?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია**: ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლები წარმოადგენენ სსკ-ით გათვალისწინებულ სხვადასხვა დანაშაულებს, იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიერ ჩადენილია სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები, ქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით, ისე 262-ე მუხლით, სასჯელები უნდა დაინიშნოს ყოველი დანაშაულისთვის და გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი სასჯელთა შეკრების წესი.

X. საკითხი შეეხო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებებს. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილს, 178-ე მუხლის III ნაწილს და 179-ე მუხლის II ნაწილს მაკვალიფიცირებელ გარემოებად დაემატა ქურდობა, ძარცვა ან ყაჩაღობა, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია**: სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად ითვლება არა მარტო თავად სატრანსპორტო საშუალების ფარული, აშკარა ან ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაუფლება, არამედ ასევე სატრანსპორტო საშუალების ნაწილის (აქსესუარის) დაუფლება.

XI. საკითხი შეეხო საქართველოს სსკ-ის 177-ე და 363-ე მუხლებს. კერძოდ, როდესაც ჩადენილია რაიმე ნივთის ქურდობა, სადაც ასევე ინახება პირადობის დამადასტურებელი მონიშვნა ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა როგორც საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით, ისე 363-ე მუხლის II ნაწილით.

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია**: პირადობის დამადასტურებელი მონიშვნის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება (სსკ-ის 363-ე მუხლის II ნაწილი) შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რაც იმას გულისხმობს, რომ პირის მიზანია, დაეუფლოს კონკრეტულად ამ ნივთს, ე.ი. იგი არა მხოლოდ უნდა ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ უნდა სურდეს კიდევ ეს შედეგი, ანდა უნდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას. შესაბამისად, თუ პირის განზრახვა არ მოიცავს პირადობის დამადასტურებელი მონიშვნის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცებას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით.

XII. საკითხი შეეხო საქართველოს სსკ-ის 179-ე და 236-ე მუხლებით ქმედებების კვალიფიკაციას, ასევე სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციას. კერძოდ, უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა ქმედება როგორც საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით, ისე 236-ე მუხლით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ქმნის თუ არა დანაშაულთა ერთობლიობას ყაჩაღური თავდასხმისას სხვა დანაშაულის (მაგ. სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლები) ჩადენა.

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სსკ-ის 179-ე მუხლით (ყაჩაღობა), ისე 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, არამედ მაშინაც, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღი ამოღებული არ არის, მაგრამ აშკარად იკვეთება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალი (შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია გასროლილი ტყვიის გულა, მასრა და ა.შ.).

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმის განხორციელებისთანავე, პირს, თავდასხმის შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ჩადენისთვის, პასუხისმგებლობა დაეკისრება ასევე ამ დანაშაულისთვის.

მაგალითად: სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ყაჩაღური თავდასხმისას, პირმა დაზარალებულს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, განზრახ ნაკლებად მძიმე ან განზრახ მსუბუქი დაზიანება, პირის ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც სსკ-ის 179-ე, ასევე სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით (სსკ-ის 120-ე მუხლთან მიმართებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იგი არის კერძო ბრალდების საქმე).

XIII. საკითხი შეეხო საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლს. კერძოდ, განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია მაგალითად შვიდ წელზე მეტი და განაჩენი არ აღსრულებულა, ხანდაზმულია თუ არა აღნიშნული დანაშაული?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, დენადია სსკ-ის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება, სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული წარმოადგენს დენად დანაშაულს, რა დროსაც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან დანაშაული დაიწყო, როგორც ნესი, უმოქმედობით და გრძელდება უწყვეტად. შესაბამისად, ამ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე ფაქტობრივად არ ვრცელდება საქართველოს სსკ-ით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

XIV. საკითხი შეეხო გირაოს სახით ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილი უძრავი ქონების დაყადაღებას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის VII ნაწილის შესაბამისად, თუ ბრალდებულმა ან განსასჯელმა, რომლის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულია გირაო, ჩაიდინა ახალი დანაშაული, მოსამართლის ბრძანებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე ბრძანებით გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, უძრავი ქონება კი გადაეცემა სახელმწიფოს. სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც ბრალდების მხარე, მოსამართლის ბრძანებით განსაზღვრული გირაოს თანხის ნაცვლად, მოითხოვს სახელმწიფოს გადაეცეს მისი გადახდის უზრუნველსაყოფად დაყადაღებული, გაცილებით მეტი ღირებულების უძრავი ქონება.

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** გირაოს სახით ფულადი თანხის ნაცვლად უძრავი ქონების შეტანისას, უნდა დაყადაღდეს არა მთლიანი ქონება, არამედ უძრავი ქონების ის წილი, რომელიც შესატანი გირაოს ფულადი

თანხის ექვივალენტურია. აღნიშნულიდან გამომდინარე სსკ-ის 168-ე მუხლის VII ნაწილით განსაზღვრული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფოს გადაეცემა შესაბამისი წილის ოდენობით დაყადაღებული უძრავი ქონება.

XV. საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის (საბაჟო წესის დარღვევა) III ნაწილის დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელია თუ არა ამავე მუხლის პირველი ნაწილისათვის დადგენილი მოძრავი ნივთის დიდი ოდენობა?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის III ნაწილი (საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურული ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა) არ ახდენს დათქმას იგივე ქმედების შესახებ (როგორც ამას ახდენს მაგალითად ამავე მუხლის II ნაწილი), სსკ-ის 214-ე მუხლის III ნაწილი არ მოიცავს ამავე მუხლის I ნაწილს და შესაბამისად მისთვის არ არის აუცილებელი დიდი ოდენობის არსებობა.

**2007 წლის 14 ივლისის შეხვედრაზე შემუშავებული
რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის
პრობლემატურ საკითხებზე:**

- I. საკითხი შეეხო საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის IX ნაწილს – გირაოს შემტანის მიერ გირაოს თანხის უკან დაბრუნების პროცედურას. კერძოდ, საქმის განხილვის რა სტადიაზე უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხის გადანყვეტა და როგორი პროცედურით.

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის IX ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის ან განსასჯელის სახელით გირაოს შემტანი საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართავს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის ან განსასჯელის სათანადო ქცევას, მოითხოვს გირაოს დაბრუნებას და, ამასთან, ბრალდების მხარე არ შუამდგომლობს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ, ბრალდებულის ან განსასჯელის სახელით გირაოს შემტანს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შემტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, უნდა სრულად დაუბრუნდეს (ასეთი გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში), განაჩენის აღსრულების შემდეგ, ხოლო, თუ საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის IX ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისას, პროკურორი ეთანხმება მოთხოვნას და, შესაბამისად, შუამდგომლობს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ, ბრალდებულის ან განსასჯელის სახელით გირაოს შემტანს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შემტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, უნდა სრულად დაუბრუნდეს (ასეთი გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში), გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შემდეგ.

- II. საკითხი შეეხო შემთხვევას, როდესაც დაზარალებული წინასწარი გამოძიების დროს (მაგ.: დაკითხვის ოქმში), უთითებს მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას, თუმცა წინასწარი გამოძიებისას ზიანის ანაზღაურებას არ ითხოვს და ამ მოთხოვნას აფიქსირებს სასამართლოში. უნდა ჩაითვალოს თუ არა აღნიშნული მოთხოვნა სამოქალაქო სარჩელად სისხლის სამართლის საქმეში და უნდა იქნეს თუ არა განხილული?

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:** საქართველოს სსსკ-ის 30-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, „პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღდა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“. შესაბამისად, თუ დაზარალებულის მიერ წინასწარი გამოძიების დროს, დაფიქსირდა მხოლოდ ზიანის ოდენობა, მაგრამ მას არ მოუთხოვია მისი ანაზღაურება და ამ მიზნით არ წარუდგენია

სამოქალაქო სარჩელი, დაზარალებულს უფლება აღარ აქვს, წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის პირველი ნაწილისა, რომლის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმეში წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი საბრალდებო დასკვნის შედგენამდე.

- III. საკითხი შეეხო შემთხვევას, როდესაც საქმეში რამდენიმე განსასჯელია, ერთ-ერთი მათგანი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას (ძებნილია) და საქმე იხილება ამ განსასჯელის დაუსწრებლად, დანარჩენები კი თავს დამნაშავედ ცნობენ – შესაძლებელია თუ არა სასამართლო გამოძიების შეკვეცა ან გაუქმება?

დასკვნის სახით ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია: საქართველოს სსსკ-ის 473-ე მუხლის IV ნაწილის თანახმად, სასამართლო გამოძიების გაუქმება ან შეკვეცა ასევე დაუშვებელია, თუ საქმეში არის ორი ან მეტი განსასჯელი და თუნდაც ერთი მათგანი არ აღიარებს დანაშაულს. გამომდინარე იქიდან, რომ პირის ძებნაში ყოფნა, ფაქტობრივად გულისხმობს, რომ იგი დანაშაულს არ აღიარებს, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო გამოძიების გაუქმება ან შეკვეცა დაუშვებელია.

- IV. საკითხი შეეხო მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების სსკ-ის 19,108-ე, 19,109-ე მუხლებით ან სსკ-ის 117-ე, 118-ე მუხლებით დაკვალიფიცირების პრობლემატურ საკითხს. კერძოდ, კონკრეტული ქმედების დროს სახეზეა სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) ან 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა, თუ სსკ-ის 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) ან 118-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) გათვალისწინებული დამთავრებული დანაშაული?

დასკვნის სახით ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია: ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრა ყოველთვის უნდა მოხდეს კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, თუმცა ამ დროს უპირატესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს მხოლოდ ქმედების მიერ გამოწვეულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს (მაგ.: ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას). მთავარია პირის განზრახვა, შესაბამისად, დანაშაულის მიზანი, მოტივი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების სახე და ხერხი; გასარკვევია ისიც, ხომ არ იყო განზრახი ქმედება უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. მხოლოდ ასე, ერთობლივად შეფასების შემდეგ (და არა მხოლოდ დამდგარი შედეგიდან გამომდინარე) უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

- V. საკითხი შეეხო საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის IV ნაწილით გათვალისწინებულ სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებას. კერძოდ, აქვს თუ არა სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება იმ მსჯავრდებულის ადვოკატს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი მის დაუსწრებლად გამოვიდა?

დასკვნის სახით ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია: საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის IV ნაწილის შესაბამისად, „მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მსჯავრდებულს გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების უფლება წარმოეშვება მხოლოდ დაპატიმრების ან სათანადო ორგანოებში ნებაყოფლობით გამოცხადების შემდეგ. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ის 518-ე მუხლის IV ნაწილის თანახმად, დამცველს, როგორც წესი, უფლება აქვს სააპელაციო საჩივარი შეიტანოს მხოლოდ მსჯავრდებულის თანხმობით, ამ შემთხვევაში მსჯავრდებულის დამცველს ფაქტობრივად უფლება არა აქვს, სააპელაციო სასამართლოში შეიტანოს სააპელაციო საჩივარი, თუნდაც მსჯავრდებულის მიერ ხელმოწერილი, თუ მსჯავრდებულის არ დაუპატიმრებიათ ან იგი სათანადო ორგანოებში არ გამოცხადებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110 თბილისი, ძეგლი ზუბალაშვილის ქ. N32
ტელ.: 93 12 62, ფაქსი: 92 08 76

www.supremecourt.ge

ISBN 9941-0-0072-7



9 789941 000720

